



გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთობლივი ინგლისურენოვანი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) და თბილისის
სამედიცინო აკადემია (TMA)

შეფასების თარიღ(ებ)ი:

6 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი:

8.12.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	10
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	19
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	28
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	33
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	43

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია და ა(ა)იპ) GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861961 204429341
ინსტიტუციის ტიპი	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) ქვეყანა)	ჰეიკი ჰილამო, ჰელსინკის უნივერსიტეტი, ფინეთი და
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) ქვეყანა)	ნათია ნოლაიდელი, შპს -ჯეო ჰოსპიტალსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) ქვეყანა)	შოთა სილაგაძე, სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა(ერთობლივი)
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Applied public health(Joint)
უმაღლესი განათლების საფეხური	II
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის შექმნა დაიწყო TMA-მ, კურიკულუმის დიზაინის ინიცირებით. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) თანამშრომლობამ განაპირობა ერთობლივი პროგრამა, სადაც თბილისის სამედიცინო აკადემია (TMA) ფოკუსირებულია ბიოსამედიცინო ასპექტზე, ხოლო GIPA-ს წვლილი გამოიხატება მარკეტინგის, კომუნიკაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფინანსების გაძლიერებაში. 2021 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა პროგრამის ინგლისურ ენაზე განხორციელება. ასევე დაიდო ხელშეკრულებები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

პროგრამა შექმნილია გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საჭირო ცოდნისა და უნარების შემოტანის მიზნით. ამ კრიტიკულ უნარებში იგულისხმება მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების შეფასების შესაძლებლობა, რომელიც მორგებულია საზოგადოების საჭიროებებზე, ჯანდაცვის ფინანსების მართვა, ეთიკური პრობლემების მოგვარება, პოლიტიკის გავლენის გაზომვა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, კვლევითი პროექტების შემუშავება და ხელმძღვანელობა, სხვადასხვა გავლენის ფაქტორების ანალიზი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების მონიტორინგი შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას. ხაზგასმულია პრაქტიკული უნარები, რაც განასხვავებს პროგრამას საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის სხვა სამაგისტრო პროგრამებისგან.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტაჟირებას პარტნიორ ორგანიზაციებში. საწყის სემესტრში ძირითადი აქცენტი კეთდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიონალებისა და მკვლევარებისთვის ფუნდამენტური ინსტრუმენტების გაცნობაზე, ხოლო შემდგომი სემესტრი კონცენტრირებულია დარგის სპეციფიკურ ცოდნასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტი შედგა პარასკევს 6 ოქტომბერს. აკრედიტაციის ჯგუფი შეხვდა TMA-ისა და GIPA-ს მმართველ რგოლს, თვითშეფასების გუნდის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს/მასწავლებლებს, TMA-ისა და GIPA-ს უკვე არსებული პროგრამების სტუდენტებს, დამსაქმებლებს და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ჯგუფის თავმჯდომარემ მოკლე მიმოხილვა გააკეთა პირველადი დაკვირვებების შესახებ.

▪ რეკომენდაციები

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტის შიდა

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ზეპირი გამოცდის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე (2.1).

2. გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილება, ხოლო აპლიკანტებს, ვისაც არ აქვს კვალიფიკაცია ჯანმრთელობის სფეროში, მოეთხოვებათ კონკრეტულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ცოდნის დამტკიცება, რომელიც შეფასდება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებით. კერძოდ, როგორცაა განსაზღვრული მოცულობის (კრედიტები) საზოგადოებრივი ჯანდაცვის შინაარსის მქონე კურსების გავლის დამადასტურებელი მოწმობა, ასევე შესაბამისი უნარების დამადასტურებელი სამუშაო გამოცდილება, ან კვლევითი აქტივობები ან სხვა ფორმით უნდა დაამტკიცოს ჯანდაცვის სფეროში მისი ცოდნა (2.1).
3. პროგრამას დაემატოს მაგისტრანტის პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც განხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ (2.4)
4. აუცილებელია მარეგულირებელ დოკუმენტებში განისაზღვროს, თუ როგორ ნაწილდება სტუდენტების მხარდაჭერის სერვისები ორ უსდ-ს შორის და დამატებით განისაზღვროს საორიენტაციო შეხვედრების ფორმატი". (3.1)
5. სტუდენტსა და უმაღლეს სასწავლებელს შორის გაფორმებულ კონტრაქტსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში განისაზღვროს სტუდენტების მხარდაჭერის პროცედურები, იმ შემთხვევისთვის, თუ პროგრამა გაუქმდება (3.1)
6. უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებაზე.(4.3)
7. გაუმჯობესდეს საკითხავი სივრცე სტუდენტებისთვის, რათა შეძლონ იმ წიგნების ადგილზე გამოყენება, რომლებიც ხელმისაწვდომი არ არის ბიბლიოთეკიდან გასატანად და გაიზარდოს ბიბლიოთეკიდან გასატანი წიგნების რაოდენობა (4.4)
8. რეკომენდებულია ფინანსური რისკის სტრატეგიის შემუშავება, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული როლები და პასუხისმგებლობები, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის ფინანსური მდგრადობა (4.5).

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. პროგრამის ამოქმედების შემდეგ, განაგრძეთ მუშაობა პროგრამის განვითარებაზე დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (1.1);
2. კიდევ ერთხელ განიხილეთ პროგრამის სახელი (1.1);
3. პროგრამის ამოქმედების შემდეგ განაგრძეთ სწავლის შედეგების შემუშავება, სტუდენტების შენიშვნების გათვალისწინებით (1.2);
4. გაზარდეთ იმ ორგანიზაციების სია, სადაც პროგრამის მონაწილეები გაივლიან სასწავლო პრაქტიკას (1.5);
5. ჩადეთ ინვესტიცია TMA-სა და GIPA-სთან ერთობლივი კვლევითი პროექტის შემუშავებაში, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სამაგისტრო ნაშრომის დაწერის გზით (2.2);
6. განაგრძეთ სწავლებისა და სწავლის მეთოდების შემუშავება სტუდენტების

გამოხმაურების გათვალისწინებით პროგრამის ამოქმედების შემდეგ (2.3);

7. მარეგულირებელ დოკუმენტში აღწერეთ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომიტეტის წევრების არჩევის პროცედურა (2.4);
8. პროგრამასა და ხელმძღვანელს შორის შეთანხმების ფორმას დაამატეთ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მაქსიმუმ 3 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა და მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობა (3.2);
9. პროგრამის ადმინისტრაციისთვის მიზანშეწონილია განისაზღვროს პარტნიორი უნივერსიტეტების და მათი ადმინისტრაციული სამსახურების კოორდინაციისა და უფლებები/მოვალეობების განსაზღვრის მექანიზმი (4.1);
10. დანერგეთ სამკითხველო ოთახის/სივრცის წინასწარ დაჯავშნის მექანიზმი (4.4);
11. სასურველია, უნივერსიტეტებმა შეიმუშაონ კარგად განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები ორ უმაღლეს სასწავლებლებს შორის (გაანაწილონ დავალება და პასუხისმგებლობა მათ შორის, რათა თავიდან აიცილონ გადაფარვა და სამუშაო პროცესი იყოს უფრო დინამიური და ეფექტური) (5.1).

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა

▪ **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

- ექსპერტებმა განიხილეს უსდ-ების (TMA და GIPA) არგუმენტირებული პოზიცია შემდეგი დასკვნებით:
 - უსდები ეწინააღმდეგებიან რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც, სწავლის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს 3 კომპეტენციის სახით“ (1.5). ჩვენ ვიზიარებთ უსდ-ების არგუმენტირებულ პოზიციას. ჩვენ შევცვალეთ შეფასების ტექსტი და ამოვიღეთ რეკომენდაცია. შედეგად, შეფასება 1. საგანმანათლებლო მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან შეცვლილია “მეტ-წილი შესაბამისობა“ „სრული შესაბამისობით“.
 - უსდები ეწინააღმდეგებიან რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც "პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტის შიდა ზეპირი გამოცდის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე" (2.1). ჩვენ არ ვიზიარებთ უსდ-ების პოზიციას. რეკომენდაცია ძალაშია.
 - უსდ-ები ეწინააღმდეგებიან რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც „გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილება, ხოლო აპლიკანტებს, ვისაც არ აქვს კვალიფიკაცია ჯანმრთელობის სფეროში, მოეთხოვებათ კონკრეტულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ცოდნის დამტკიცება, რომელიც შეფასდება

⁵ პრაქტიკა, რომელიც გამორჩეულად ეფექტურია და რომელიც შეიძლება გახდეს საორიენტაციო ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამისთვის.

შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებით. კერძოდ, როგორცაა განსაზღვრული მოცულობის (კრედიტები) საზოგადოებრივი ჯანდაცვის შინაარსის მქონე კურსების გავლის დამადასტურებელი მოწმობა, ასევე შესაბამისი უნარების დამადასტურებელი სამუშაო გამოცდილება, ან კვლევითი აქტივობები ან სხვა ფორმით უნდა დაამტკიცოს ჯანდაცვის სფეროში მისი ცოდნა"(2.1). ჩვენ არ ვიზიარებთ უსდ-ების პოზიციას. რეკომენდაცია ძალაშია.

- უსდ-ები ეწინააღმდეგებიან რეკომენდაციას „დაემატოს მაგისტრანტის პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი“. ჩვენ არ გავიზიარებთ მათი მოსაზრება და არ შევცვალეთ რეკომენდაცია. შეფასების მექანიზმის დაზუსტება და განსაზღვრა არაა მოცემული არც ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში. სტანდარტი 2 „პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება“ მეტ-წილ შესაბამისობაშია“.

- უმაღლესი სასწავლებლები ეწინააღმდეგებიან რეკომენდაციას „მექანიზმით გამორჩეული სტუდენტების დამხმარე ერთეული, გარდა კოორდინატორისა, რომელიც მოემსახურება კონკრეტულად ამ პროგრამის სტუდენტებს; და განსაზღვრეთ საორიენტაციო შეხვედრების ფორმატი" (3.1). ჩვენ ხელახლა ჩამოვყალიბეთ რეკომენდაცია შემდეგნაირად: „უცილებელია მარეგულირებელ დოკუმენტებში განისაზღვროს, თუ როგორ ნაწილდება სტუდენტების მხარდაჭერის სერვისები ორ უსდ-ს შორის და დამატებით განისაზღვროს საორიენტაციო შეხვედრების ფორმატი“.

- უსდ-ები ეწინააღმდეგებიან რეკომენდაციას „სტუდენტსა და უმაღლეს სასწავლებელს შორის გაფორმებულ კონტრაქტსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში განისაზღვროს სტუდენტების მხარდაჭერის პროცედურები, იმ შემთხვევისთვის, თუ პროგრამა გაუქმდება"(3.1). არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ეს საკითხი უკვე გათვალისწინებულია „GIPA - ააიპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმაღლესი განათლების ერთობლივი პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ IX თავი, მუხლი 33, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის გაუქმება. ჩვენ არ დავეთანხმეთ უსდ-ების პოზიციას და არ შევცვალეთ რეკომენდაცია, რადგან ეს საკითხი დოკუმენტში განიხილება ზოგადად, იმის დაზუსტების გარეშე, თუ რომელი უსდ, რომელი ერთეულები, რა ტიპის თანამშრომლობით უზრუნველყოფს ყველა საჭირო ნაბიჯს.

- უსდები ეწინააღმდეგებიან რეკომენდაციას "განიმარტოს როგორც მით სტუდენტების ხმა თვითმმართველობის ერთეულ(ებ)ში, ერთობლივი პროგრამის ფარგლებში" (3.1). არგუმენტი იყო ის, რომ საკითხი არ არის დაკავშირებული აკრედიტაციის სტანდარტის 3.1 (3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისების) შეფასების კრიტერიუმებთან. 3. ჩვენ ვიზიარებთ უსდ-ების არგუმენტირებულ პოზიციას და ამოვიღეთ რეკომენდაცია. საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესის 52-ე მუხლი მეტწილად ფარავს ამ საკითხს.

- უსდ-ები ეწინააღმდეგებიან რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც "პროგრამის ადმინისტრაციისთვის მიზანშეწონილია განისაზღვროს პარტნიორი უნივერსიტეტების და მათი ადმინისტრაციული სამსახურების კოორდინაციისა და

(4.1). ჩვენ ვიზიარებთ უსდ-ების პოზიციას. ტექსტი შეიცვალა და რეკომენდაცია გადასწორდა რეკომენდაციიდან რჩევად გაუმჯობესებისათვის.

- უსდები ეწინააღმდეგებიან რეკომენდაციას "გაუმჯობესდეს საკითხავის ივრცე სტუდენტებისთვის, რათა შეძლონ იმ წიგნების ადგილზე გამოყენება, რომლებიც ხელმისაწვდომი არ არის ბიბლიოთეკიდან გასატანად და გაიზარდოს ბიბლიოთეკიდან გასატანი წიგნების რაოდენობა" (4.4) ჩვენ არ ვიზიარებთ უსდ-ების პოზიციას. სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის გამო, რეკომენდაცია ძალაშია.
- უსდ-ები ეწინააღმდეგებიან N10 რეკომენდაციას "რეკომენდებულია ფინანსური რისკის სტრატეგიის შემუშავება, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული როლები და პასუხისმგებლობები, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის ფინანსური მდგრადობა" (4.5). ჩვენ არ ვიზიარებთ უსდ-ების პოზიციას. როგორც ქვემოთ აღინიშნა, პროგრამის ხელშეკრულება არ აღწერს პასუხისმგებლობას ფინანსური კრიზისის შემთხვევაში, იგი მხოლოდ ბუნდოვნად აცხადებს, რომ ორივე ინსტიტუტი იქნება პასუხისმგებელი. აკრედიტაციის სტანდარტი 4 (სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა) რჩება „მეტწილ შესაბამისობაში“.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

ორივე TMA და GIPA გარკვეული პერიოდის განმავლობაში გეგმავდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამას, რომელიც ეხმიანებოდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიონალების საჭიროებას საქართველოში (ქართველი დამსაქმებლები და საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები). 2020 წელს TMA-მ ჩაატარა გამოკითხვა დამსაქმებლებში, რათა შეეფასებინა მათი აღქმა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სწავლებისა და სამაგისტრო პროგრამების ხარისხის შესახებ. მონაწილეები იყვნენ საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის სხვადასხვა ორგანიზაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კვლევამ აჩვენა, რომ დამსაქმებელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებს არ გააჩნიათ პრაქტიკული უნარები და ცოდნა. ძირითადი უნარები, რომლებიც ითვლება გადამწყვეტად, არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების შეფასების უნარი, ჯანდაცვის ფინანსების მართვა, ეთიკური საკითხების მოგვარება და სხვა.

ორმა ინსტიტუტმა გადაწყვიტა გაერთიანებინა ძალები და შეემუშავებინა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მათი ძლიერი მხარეების გაერთიანებას. თანამშრომლობის საფუძველი იყო საერთო ღირებულებების აღიარება და ის ფაქტი, რომ ინსტიტუტების კომპეტენციის სფეროები ავსებენ ერთმანეთს. TMA სპეციალიზირებულია სამედიცინო სფეროში პრაქტიკული უნარებისა და ცოდნის გამომუშავებაზე, ხოლო GIPA-ს აქვს კომპეტენციის განვითარების გამოცდილება ჯანდაცვის პოლიტიკის სფეროში და მენეჯმენტში. GIPA-ს ჩართულობისა და კომპეტენციის, და ასევე პროგრამის უნიკალურობის გათვალისწინებით, პროგრამას ეწოდა გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა. თუმცა, ეს შეიძლება ჩაითვალოს სიმართლედ, რამდენადაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, განმარტების მიხედვით, არის გამოყენებითი დისციპლინა.

ორი დაწესებულების რესურსების გაერთიანებით, პროგრამას შეუძლია შესთავაზოს არჩევითი საგნების ფართო სპექტრი, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს სპეციალიზირდნენ თავიანთი ინტერესების სფეროებში. აღსანიშნავია, რომ პროგრამა

მოიცავს სავალდებულო სტაჟირებას პარტნიორ ორგანიზაციებში, რომლის მიზანია სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა. სასწავლო პროგრამა მოიცავს ფუნდამენტურ ინსტრუმენტებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში, რასაც მოჰყვება დარგის სპეციფიკის ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენება. შრომის ბაზრის პოსტ-პანდემიური საჭიროებების შესახებ უახლესი ინფორმაციის მიღების მიზნით, 2023 წელს ჩატარდა დამსაქმებელთა ახალი კვლევა სამედიცინო საკითხებზე და მისი დასკვნები ჩართული იყო პროგრამაში. პროგრამა შემუშავებულია იმისთვის, რომ განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში.

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების აღჭურვას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით. არსებობს კვლევის კომპეტენციის ძლიერი ელემენტი, რომელიც ხაზგასმული იყო დამსაქმებლების მიერ, როგორც მნიშვნელოვანი კვალიფიკაცია. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, პროგრამა შეესაბამება TMA-სა და GIPA-ს სტრატეგიულ გეგმებს, ხაზს უსვამს მაღალხარისხიან სწავლებას და ინტერნაციონალიზაციას. ეს ხაზგასმული იყო გასაუბრებების დროსაც. პროგრამის მიზნებსა და განვითარების მიმართულებებს მხარს უჭერენ პარტნიორი ორგანიზაციები, აკადემიური პერსონალი, და დაინტერესებული მხარეები, თუმცა გაურკვეველი იყო, 2023 წელს ჩატარებული მეორე დამსაქმებელთა კვლევის შედეგები შეიცავს თუ არა რაიმე შესაბამის ინფორმაციას საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. ეს გამოკითხვა ძირითადად ეხებოდა თბილისის სამედიცინო აკადემიის ზოგადი მედიცინის პროგრამას. პროგრამის ამოცანები ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, სწავლის საფეხურსა და საგანმანათლებლო პროგრამას. ისინი განსაზღვრავენ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელსაც პროგრამის კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ.

მიზნები შემუშავდა ორ ინსტიტუციისა და დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობით. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სასწავლო პროგრამა შემუშავებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მონაცემების გათვალისწინებით. პროგრამის უწყვეტ განვითარებაში ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე. პროგრამის მომზადება ითვალისწინებდა საერთაშორისო ექსპერტებსა და ანალოგიური პროგრამების სამიზნე ნიშნულებს საქართველოში (ხუთი თბილისში, მათგან ორი ინგლისურად) და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, რამაც აჩვენა, რომ პროგრამა შეესაბამება გლობალურ საგანმანათლებლო სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ინტერვიუები
- o დამსაქმებელთა გამოკითხვა
- o შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- o პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების მისიები და განვითარების სტრატეგიული გეგმები;
- o ანალოგიური პროგრამების ანალიზის დოკუმენტი;
- o ვებგვერდები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o პროგრამის ამოქმედების შემდეგ განაგრძეთ პროგრამის განვითარებაზე მუშაობა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად
- o კიდევ ერთხელ განიხილეთ პროგრამის დასახელება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად, პროგრამის შემმუშავებელმა ორმა ინსტიტუტმა გამოავლინა ცხრა კონკრეტული სასწავლო შედეგი. ეს შედეგები მოიცავს ფუნდამენტურ ცოდნას და უნარებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. ისინი ასევე შეესაბამება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში პროფესიონალის პასუხისმგებლობას და ავტონომიას. რომ შევაჯამოთ, შედეგები ასე იკითხება:

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლის შედეგი1: სიღრმისეულად განსაზღვრავს ქცევითი, ბიოლოგიური, სოციალური კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

სწავლის შედეგი2: სიღრმისეულად განსაზღვრავს და გამოკვეთს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შექმნისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებული პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ და სამეცნიერო გზებს.

სწავლის შედეგი3: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დისციპლინის ჭრილში სისტემურად აღწერს განსხვავებული მიდგომების ძლიერ და სუსტ მხარეებს.

უნარები:

სწავლის შედეგი4: ამზადებს კვლევის გეგმას, სისტემურად აანალიზებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს ბიოსტატისტიკური, ეპიდემიოლოგიური მეთოდების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

სწავლის შედეგად: ფინანსების მართვის პრინციპებზე და თეორიებზე დაყრდნობით დამოუკიდებლად ადგენს ბიუჯეტს, სისტემურად ახორციელებს დანახარჯებს და ახდენს ფინანსურ პროგნოზირებას ფინანსური მართვის პრინციპებზე დაყრდნობით.

სწავლის შედეგინ: შეიმუშავებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის მართვის, მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმებს და გეგმავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკას, პროგრამას, პროექტს ან ინტერვენციას მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგი 7: თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინგლისურ ენაზე საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს ეფექტურად წარადგენს, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სწავლის შედეგი 8: დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ნორმების დაცვით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად.

სწავლის შედეგი9: დამოუკიდებლად აყალიბებს სამომავლო ხედვას, გუნდური მუშაობის პროცესში ახდენს მოვალეობების ეფექტურად დელეგირებასა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას და იყენებს ლიდერობის, ხელმძღვანელობისა და მართვის პრინციპებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნულ სამიზნე ნიშნულებს (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, უმაღლესი განათლების სფეროს მახასიათებელი, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2019 წ.).

დამსაქმებლის გამოკითხვისა და ადგილზე გასაუბრების დროს დამსაქმებლის ინტერვიუს საფუძველზე, აღმოჩნდა, რომ ეს შედეგები პასუხობს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის დიზაინი ითვალისწინებს საუკეთესო პრაქტიკას როგორც უცხოურ, ასევე ქართულ საგანმანათლებლო პროგრამებში, ასევე დამსაქმებლის მოლოდინებს. გარდა ამისა, სწავლის შედეგები შემუშავებულია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად. პროგრამაში გამორჩეული ადგილი უჭირავს კვლევის უნარების განვითარებას. ადგილზე ვიზიტის დროს აკადემიურმა პერსონალმა (პედაგოგებმა) შეძლეს სწავლის შედეგების დასახელება.

სასწავლო გეგმის სტრუქტურა, რომელიც ზოგადიდან კონკრეტულზე გადადის, ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო პრინციპებს, ეფექტურად აკმაყოფილებს თანამედროვე დარგის მოთხოვნებს. საერთო ჯამში, სამაგისტრო პროგრამა გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში შექმნილია დარგის მიღწევების შესაბამისად, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სწავლებას. მოკლედ, პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ადგილზე განხორციელებული ინტერვიუები
- o თვითშეფასების ანგარიში
- o დამსაქმებელთა გამოკითხვა
- o დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

- o პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში
- o პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა
- o შესაბამისი პროგრამის ანალიზის დოკუმენტი
- o ვებგვერდები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o პროგრამის ამოქმედების შემდეგ განაგრძეთ სწავლის შედეგების განვითარებაზე მუშაობა სტუდენტების შენიშვნების გათვალისწინებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღწერილი, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს პირდაპირ და ირიბ მექანიზმებს, როგორცაა სტუდენტების, დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალის კითხვარის პასუხები, ასევე სტუდენტების აკადემიური მიღწევების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა ეს ორჯერ გადაამოწმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას და დაადგინა, რომ დამსაქმებლები რეგულარულად აწყობენ შეხვედრებსა და დისკუსიებს პროგრამის ხელმძღვანელებთან და წვლილი შეაქვთ სწავლის შედეგების შეფასებაში. ვინაიდან მოცემულ პროგრამას ამჟამად არ ჰყავს ჩარიცხული სტუდენტები, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებს, რომლებმაც ასევე დაადასტურეს, რომ მათ სთხოვენ დაესწრონ ფოკუს ჯგუფებს და დროდადრო მიიღონ მონაწილეობა გამოკითხვის შევსებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მოქმედებს საუნივერსიტეტო წესი "გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“. ეს დოკუმენტი აღწერს სწავლის შედეგებზე მუშაობის პრინციპებს და რამდენიმე პრაქტიკული ინსტრუმენტის მიწოდებით ასახავს შეფასების/შეფასების

სტრატეგიებს. იგი მომზადებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ დაწესებულებას აქვს გეგმა ყოველწლიურად გაანალიზოს სტუდენტის აკადემიური მიღწევები და შეადაროს იგი წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ ანალიზის საფუძველზე დაიწყება ინტერვენციები. პროცესს მართავს ან პროგრამების ხელმძღვანელები, ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები არ არიან ჩარიცხულნი მოცემულ პროგრამაზე, წარმოდგენილ დოკუმენტებში აღწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დეტალური პროცედურები.

მოცემული პროგრამისთვის დაწესებულებამ მოამზადა „სწავლის შედეგების რუკა“, რომელშიც აღწერილია და ვიზუალურად მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგებსა და თითოეული კურსის სწავლის შედეგებს შორის კავშირი. ექსპერტთა ჯგუფმა დაუსვა რამდენიმე კითხვა როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე მოწვეულ პერსონალს, რათა გაერკვია, იყვნენ თუ არა ისინი ჩართულები პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში. როგორც ვთქვით, აკადემიური პერსონალი კარგად იცნობს პროგრამების სწავლის შედეგებს, უფრო მეტიც, მათგან რამდენიმემ ახსენა, რომ ესწრებოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ უნივერსიტეტმა მოიწვია საერთაშორისო ექსპერტი პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების ტრენინგის ჩასატარებლად. როგორც აღინიშნა, ექსპერტს ჰქონდა კრიტიკული შენიშვნა და თვითშეფასების ჯგუფი ძირითადად ითვალისწინებდა რეკომენდაციებს (სწავლის შედეგების მოდიფიცირება როგორც პროგრამის, ასევე სასწავლო კურსის დონეზე). თუმცა ექსპერტთა ჯგუფს აქვს მცირე შენიშვნა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, რაც აღწერილია 1.5 ქვესტანდარტში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებაში არსებული პროცედურები და მექანიზმები მიზნად ისახავს პროგრამების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამების ხელმძღვანელები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ადასტურებენ, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზანია, გამოყენებული იქნას იგი მოცემული პროგრამის შემდგომი ცვლილებებისა და გაუმჯობესებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ ხდება კურსის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების შედარება, არსებული წესები და მექანიზმები გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამისთვის
- სწავლის შედეგების რუკა
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ინტერვიუები სასწავლო ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის ვებგვერდები (GIPA; TMA)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის X სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი შედეგები.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ძირითადი მიმართულებები მოიცავს: ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა, ჯანმრთელობის სოციალური და ქცევითი ასპექტები, ჯანდაცვის პოლიტიკა და მართვა, ჯანმრთელობის ხარჯთაღრიცხვის შედგენა და ეფექტურობის შეფასება. ეს შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების დაგროვების და ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. თვითშეფასების დოკუმენტის და ადგილზე ვიზიტის დროს მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა (120 ECTS) და შინაარსი ემთხვევა სამაგისტრო დონეს. ის მოიცავს 4 სემესტრს და იცავს ECTS კრედიტის ნორმებს. სასწავლო პროგრამა ლოგიკურად აერთიანებს დარგის სპეციფიკას და ტრანსფერულ კომპეტენციებს, წინაპირობების გათვალისწინებით. იგი მიჰყვება პრინციპს – მარტივიდან რთულისკენ, რომელიც მოიცავს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით კურსებს. თუმცა, შესაძლოა, იმ ფაქტმა, რომ სტუდენტებს აქვთ განსხვავებული მომზადება, განათლება და კვალიფიკაცია, გაართულოს პროგრესი (იხ. 2.1.).

სასწავლო გეგმის შემუშავება დაიწყო სწავლის შედეგებიდან. პროგრამის ძირითადი კომპონენტები მოიცავს ეპიდემიოლოგიას, ბიოსტატისტიკას, ჯანდაცვის ბიოლოგიურ, სოციალურ და ქცევით ასპექტებს, ჯანდაცვის პოლიტიკას, მენეჯმენტს, ხარჯთაღრიცხვის გაკეთებას და შესრულების შეფასებას. სასწავლო გეგმაში ასევე შედის პლანეტარული ჯანმრთელობა, როგორც ახალი თემა. 8 ECTS კრედიტიანი სტაჟირება არის სავალდებულო, რასაც მოჰყვება კვლევაზე დაფუძნებული (30 ECTS) კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომის

შესრულება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით. ვვარაუდობთ, რომ სტუდენტთა უმრავლესობა ჩამოვა სხვა ქვეყნებიდან. ეს ასახულია პროგრამის შინაარსში, სადაც აქცენტი კეთდება გლობალურ ჯანმრთელობაზე. არსებული გეგმების მიხედვით სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება დაიწეროს როგორც კვლევითი პროექტების ნაწილი. არჩევითი საგნები მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროების ფართო სპექტრს, რაც სხვადასხვა საკითხებში სპეციალიზაციის საშუალებას იძლევა.

სწავლების მეთოდები მოიცავს ცოდნის მიღებას, გაგებას, პრაქტიკულ გამოცენებას, კომუნიკაციას, გუნდურ მუშაობას და ავტონომიას. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ადგილზე განხორციელებული ინტერვიუები;
- o თვითშეფასების ანგარიში
- o პროგრამის სილაბუსები
- o საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- o გარე ექსპერტის მიერ შუალედური შეფასება;
- o შესაბამისი პროგრამების ანალიზი;
- o შეთანხმება ერთობლივი პროგრამის განხორციელების შესახებ;
- o პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შედარება საზღვარგარეთ მსგავს პროგრამებთან;
- o კურიკულუმის რუკა;
- o ვებგვერდები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია სასწავლო კურსების შესაბამისი სილაბუსებისა და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის სახით (30 კრედიტი).

საგანმანათლებლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი კურსებით, ხოლო სასწავლო კურსების მოცულობა განსხვავებულია. თითოეული სასწავლო კურსისთვის კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. ძირითადი აკადემიური საგნები/სილაბუსები 4-6 ECTS კრედიტიანია, სულ 16 საგანი, 1 კრედიტი 25 საათი. უმეტეს აკადემიურ საგნებში საკონტაქტო დრო შეადგენს 32 საათს, რაც გამოითვლება ლექციებისა და პრაქტიკული/სემინარებისთვის საჭირო საკონტაქტო პერიოდის მიხედვით. ძირითადი აკადემიური საგნები/სილაბუსები ასევე მოიცავს „სასწავლო პრაქტიკას“, რომელიც არის 8 ECTS კრედიტიანი. არჩევითი აკადემიური საგნები მოიცავს 2 ECTS-ს. სტუდენტები არჩევენ 4 საგანს 10 არჩევით საგანიდან, სულ 8 ECTS. სამაგისტრო ნაშრომი არის 30 კრედიტიანი; საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ადეკვატურია სამაგისტრო დონის კურსებისთვის და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსების მიხედვით ლოგიკურად არის განსაზღვრული კურსების წინაპირობები. თითოეული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ამასთან ერთად, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ლოგიკურია და ითვალისწინებს კურსის თავისებურებებს; საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიური კურსების შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. სასწავლო მასალა ეფუძნება უახლეს კვლევებსა და დარგში არსებულ წყაროებს.

სილაბუსები/კურსები იყენებს მრავალფეროვან და თანამედროვე სწავლების მეთოდებს, რაც პროგრამის სიძლიერეა და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პარტნიორი ორგანიზაციების სია, სადაც პროგრამის მონაწილეები გაივლიან ტრენინგს, წარმოდგენილია მხოლოდ არასამთავრობო სექტორისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახით, ხოლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო მნიშვნელოვნად ფართოა. ამიტომ, მიზანშეწონილია გაფართოვდეს იმ ორგანიზაციების სია, სადაც პროგრამის მონაწილეებს შეუძლიათ გაიარონ პრაქტიკული ტრენინგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o საგანმანათლებლო პროგრამა გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა
- o საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები
- o კურიკულუმის რუკა
- o თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o გაზარდეთ იმ ორგანიზაციების სია, სადაც პროგრამის მონაწილეები გაივლიან სასწავლო პრაქტიკას .

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. აკადემიური კურსი/საგანი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- შიდა პროცედურა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- დოკუმენტაციის ანალიზი

ოკანდიდატის მიერ შევსებული სააპლიკაციო ფორმის ანალიზი, რომელიც მოიცავს განმცხადებლის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას;

- პროგრამის მიერ ადმინისტრირებული ინგლისური ენის (B2 დონის) გამოცდის წარმატებით დასრულება.

ო გამოცდისგან თავისუფლდებიან პირები, რომლებიც წარმოადგენენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს (TOEFL, IELTS) ან რომლებსაც აქვთ გავლილი საბაკალავრო ან უმაღლესი განათლების პროგრამა ინგლისურ ენაზე.

- გამოცდა სპეციალობაში, რომლის მიზანია აპლიკანტის დარგობრივი ცოდნის შეფასება

ო საგამოცდო კითხვების ნიმუშები (ინგლისურ ენასა და სპეციალობაში) წინასწარ გამოქვეყნდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდებზე.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N224/5 ბრძანებით (2011 წლის 29 დეკემბერი).

ზემოთ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის გამოყენებითი სამაგისტრო პროგრამის წინაპირობები და მიღების პროცედურები შეესაბამება შესაბამის კანონმდებლობას. თუმცა, ეს არ არის საკმარისი იმ აპლიკანტებისთვის, ვისაც არ აქვთ კვალიფიკაცია ჯანმრთელობის სფეროში.

თუ გავითვალისწინებთ მსგავს სამაგისტრო პროგრამებზე იმ აპლიკანტების დაშვების წინაპირობებს, რომელთაც არ აქვთ კვალიფიკაცია ჯანმრთელობის სფეროში, მათ მოეთხოვებათ დამადასტურებელი ცნობა, რომ გავლილი აქვთ გარკვეული რაოდენობის ECTS კრედიტები ან აქვთ სამუშაო გამოცდილება, რომელიც აჩვენებს მათ ცოდნასა და უნარებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამები მრავალსექტორული ხასიათისაა და აქვთ მსგავსი შედეგი, მაშინ როცა, მიმდინარე პროგრამა მსგავსი სწავლის შედეგებით და მოცულობით მოითხოვს ბევრად ნაკლები კომპეტენციის დადასტურებას იმ აპლიკანტებისთვის, ვისაც არ აქვთ კვალიფიკაცია ჯანმრთელობის სფეროში; მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობაში გამოცდა არის ამ რისკების პრევენციის საშუალება, არაჯანდაცვის კვალიფიკაციის აპლიკანტებისთვის უნდა არსებობდეს მოთხოვნა გარკვეული ECTS-ის ფლობისა და სხვა დამატებითი მოთხოვნების სახით, როგორცაა თუნდაც მიზნობრივი სამუშაო და სხვა გამოცდილება, რაც ქმნის შესაძლებლობას არაჯანდაცვის კვალიფიკაციის აპლიკანტმა შეძლოს პროგრამის შედეგების მიღწევა. ამასთან, მიზანშეწონილია პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაში განისაზღვროს, რომ უნივერსიტეტის შიდა ზეპირი გამოცდის თემა იქნება ჯანდაცვის სფეროს მიმართულელებიდან.

კურსები აგებულია წინაპირობებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების სრული

გათვალისწინებით. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე („საზოგადოებრივი ჯანდაცვა“) მიღების წინაპირობა გამჭვირვალეა, ინფორმაცია კი ყველასთვის ხელმისაწვდომი.

აღსანიშნავია, რომ მიღების წინაპირობა არ აკონკრეტებს სერტიფიცირებული ექიმის და სერტიფიცირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციას; ინტერვიუს დროს კითხვაზე პასუხი იყო, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია იგულისხმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o საგანმანათლებლო პროგრამა გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა
- o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- o საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- o თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- o პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტის შიდა ზეპირი გამოცდის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე;
- o გათვალისწინებული უნდა იქნეს სტუდენტთა განსხვავებული მომზადება და იმ აპლიკანტებს, რომელთაც არ აქვთ კვალიფიკაცია ჯანმრთელობის სფეროში, უნდა მოეთხოვოს ცოდნის დამტკიცება კონკრეტულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმებით; კერძოდ, როგორცაა განსაზღვრული მოცულობის (კრედიტები) საზოგადოებრივი ჯანდაცვის შინაარსის მქონე კურსების გავლის დამადასტურებელი მოწმობა, ასევე შესაბამისი უნარების დამადასტურებელი სამუშაო გამოცდილება, ან კვლევითი აქტივობები ან სხვა ფორმით უნდა დაამტკიცოს ჯანდაცვის სფეროში მისი ცოდნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა პრიორიტეტს ანიჭებს პრაქტიკულ, კვლევით და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის მიზანია გამოუმუშაოს სტუდენტს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების უნარები დარგის უახლესი მეთოდებისა და მიღწევების გამოყენებით. კიდევ ერთი მიზანია კვლევითი წინადადებების მომზადების, პროექტების შემუშავების, პროექტების დაგეგმვისა და მართვის უნარების გამომუშავება დისციპლინათაშორისი კვლევის გამოყენებით და სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართვით რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. კურიკულუმი მოიცავს მეთოდური კურსის საჭირო რაოდენობას კვლევის უნარების გასავითარებლად. არსებული გეგმების მიხედვით სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება დაიწეროს, როგორც კვლევითი პროექტების ნაწილი.

კურსდამთავრებულს ასევე უნდა შეეძლოს შექმნას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერვენციების მართვის, შეფასებისა და დაგეგმვის კრიტერიუმები, ასევე უნდა შეეძლოს სამომავლო ხედვების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და უნდა ფლობდეს გუნდური მუშაობის წარმართვისთვის საჭირო უნარებს. კვლევითი შესაძლებლობების გასაძლიერებლად ორივე უსდ მიზნად ისახავს გაზარდოს აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების რაოდენობა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, ხელი შეუწყოს ერთობლივ კვლევით საქმიანობას ადგილობრივ და უცხოელ კოლეგებთან, პროაქტიულად ჩართოს სტუდენტები კვლევაში და განახორციელოს პრაქტიკული მნიშვნელობის პროექტები. დაწესებულებები ასევე მიზნად ისახავს ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავებას ერთობლივი პროგრამის განხორციელებით.

პროგრამა იყენებს შერეული პრაქტიკის მოდელს, აერთიანებს პრაქტიკულ ამოცანებს თეორიულ კურსებში პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით. გარდა ამისა, სტუდენტებს მოეთხოვებათ გაიარონ სავალდებულო სტაჟირება პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკულ გამოცდილებას გამოყენებითი კვლევებისა და პროექტების განხორციელებაში. სტაჟირების მიზანია რეალური გამოცდილების შეთავაზება, კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიისთვის დამახასიათებელი ღირებულებების დანერგვა. სტაჟირება ასევე შეიძლება მოიცავდეს კვლევით საქმიანობას, სადაც განხორციელდება მონაცემთა შეგროვება, დახარისხება, პროგრამის გაანალიზება. ადგილზე გასაუბრებისას დამსაქმებლებმა გამოთქვეს მზადყოფნა შესთავაზონ ადგილები სტაჟირებისთვის. მათ ასევე ხაზი გაუსვეს კვლევის უნარების მნიშვნელობას.

კვლევის კომპონენტის საბოლოო მიზანია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, რომელიც სრულდება ბოლო სემესტრში. იმისათვის, რომ მიეცეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების უფლება, სტუდენტებმა უნდა დააგროვონ მინიმუმ 90 ECTS კრედიტი სავალდებულო და მის მიერ შერჩეული არჩევითი კურსებიდან, კვლევის მეთოდების კურსის ჩათვლით. აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, რათა უხელმძღვანელოს სამაგისტრო ნაშრომს მოცულობისა და კვალიფიკაციის თვალსაზრისით. დებულება განკარგავს სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობას, რომლის ხელმძღვანელობის უფლება აქვს ხელმძღვანელს.

დოკუმენტები და ადგილზე გასაუბრება ცხადყოფს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ

ჩართულობას კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.
- o თვითშეფასების ანგარიში
- o ხელშეკრულებები / მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციებთან / პრაქტიკის ობიექტებთან;
- o პრაქტიკის სილაბუსი
- o აკადემიური პერსონალის რეზიუმეები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o ჩადეთ ინვესტიცია TMA-სა და GIPA-სთან ერთობლივი კვლევითი პროექტის შემუშავებაში, სადაც სტუდენტებს შეეძლება წვლილი შეიტანონ სამაგისტრო ნაშრომის დაწერის გზით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაში	მეტწილად	ნაწილობრივ	არაა
	ია	შესაბამისობაში	შესაბამისობაში	შესაბამისობა
	მოთხოვნებთან	ია	ია	ში
		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
		ნ	ნ	ნ
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

TMA-ს აქვს ხანგრძლივი გამოცდილება და კარგი რეპუტაცია სხვადასხვა ცოდნის მქონე სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში. როგორც ჩანს, სწავლება ძირითადად ხორციელდება TMA-ს მიერ, ხოლო GIPA-ს უფრო მცირე როლი აქვს. კურსები განხორციელდება TMA –ს ტერიტორიაზე. პროგრამა იყენებს სწავლებისა და სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც მორგებულია კონკრეტული კურსის შინაარსსა და სასურველ შედეგებზე. ეს მეთოდები შექმნილია სტუდენტების კომპეტენციებისა და უნარების განვითარებისთვის. მეთოდების შერჩევა ითვალისწინებს სტუდენტების არსებულ ცოდნას, ეთიკურ ღირებულებებს და ავტონომიურად მუშაობის უნარს. ისინი ასევე ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ სტუდენტები განსხვავებული წარმომავლობის არიან.

პროგრამა აერთიანებს ლექციებსა და სემინარებს, როგორც სწავლების ძირითად ინსტრუმენტებს. ლექციები ფოკუსირებულია ფუნდამენტური თემის მიმოხილვაზე, რომელიც ტარდება ინტერაქტიულად ვიზუალური საშუალებების გამოყენებით. სემინარების მიზანია ლექციების თემებში ჩაღრმავება, სტუდენტთა ჩართულობის წახალისება და ხელს უწყობს დისკუსიებს, პრეზენტაციებს და კურსის მუშაობის შეფასებას. ისინი ასევე იძლევა შესაძლებლობას დეტალურად შემოწმდეს კონკრეტული საგნები კურსის მომავალი მუშაობის გაანალიზების მიზნით.

სასწავლო კურსის სხვადასხვა ფორმატი, მათ შორის ლაბორატორიული სამუშაოები, სავლე ვიზიტები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტები და სტაჟირება, უზრუნველყოფს სწავლების სხვადასხვა სტილს. პროგრამის მიზნების შესაბამისად, განსაკუთრებით ხაზგასმულია კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, თეორიულ ცოდნასთან ერთად ანალიტიკური უნარების განვითარება. მეთოდების შერჩევას გათვალისწინებულია ეფექტურობა, სტუდენტთა შესაძლებლობებთან და გამოცდილებასთან შესაბამისობა, ტექნიკური მიზანშეწონილობა და მიზანი, რომ სწავლა იყოს საინტერესო და მრავალფეროვანი. სწავლების მიდგომა მიზნად ისახავს სტუდენტთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობას, თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობის წახალისებას და სხვა სტუდენტთან ურთიერთობის ხელშეწყობას. ის ასევე ცდილობს კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას.

სწავლების მეთოდების მოქნილობა განაპირობებს სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. საჭიროების შემთხვევაში, შეიქმნება ინდივიდუალური აკადემიური გეგმები კონკრეტული ინტერესებისა და აკადემიური მზაობის დონის გათვალისწინებით. ეს გეგმები შეიძლება მოიცავდეს ადაპტირებულ სასწავლო გარემოს და დამატებით რესურსებს, რაც უზრუნველყოფს დამხმარე და ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების საშუალებას. თვითშეფასების ანგარიში, სასწავლო გეგმა, სილაბუსები და სხვა დოკუმენტები ადგილზე გასაუბრებასთან ერთად ადასტურებს, რომ პროგრამა განხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o ადგილზე განხორციელებული ინტერვიუები
- o სასწავლო გეგმა
- o სასწავლო კურსების სილაბუსები;
- o პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ელექტრონული რესურსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o განაგრძეთ სწავლებისა და სწავლის მეთოდების შემუშავება სტუდენტების გამოხმაურების გათვალისწინებით პროგრამის ამოქმედების შემდეგ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლა-სწავლების მეთოდები;	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება და მისი გასაჩივრება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. პროცესი შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, არის სანდო და სამართლიანი ყველა სტუდენტისთვის. პროცედურები ნათლად არის აღწერილი „უმაღლესი განათლების ერთობლივი პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. სილაბუსები შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. შეფასების მეთოდი / მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, სხვა სიტყვებით, შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევის დონეს. თითოეული შეფასების ინსტრუმენტი განისაზღვრება სასწავლო კურსის სპეციფიკისა და შინაარსის მიხედვით. თითოეულ სილაბუსში გამოყოფილია შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომლებსაც უხსნიან სტუდენტებს მათი ლექტორები/სემინარის წამყვანები პირველ შეხვედრაზე. შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ სტუდენტები ლექტორებისგან იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ეცნობიან შეცდომებს, მათი გამოსწორების გზებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს.

როგორც ერთობლივი პროგრამის წარმომადგენლებმა განმარტეს, მაგისტრანტებს ძირითადად TMA ელექტრონული პორტალი მოემსახურება. ელექტრონული სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაასაჩივრონ თითოეული კურსის შეფასების შედეგი ონლაინ რეჟიმში, უკვე დანერგილი გასაჩივრების მექანიზმის/ფორმის მეშვეობით ელექტრონულ პორტალზე, რომელსაც იყენებენ TMA სტუდენტები. ადგილზე ვიზიტისა და სტუდენტებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ სისტემა წარმატებით მუშაობს და სტუდენტებს შეუძლიათ აპელაციის სწორად გამოყენება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. ეს აძლიერებს ჯგუფის რწმენას, რომ იგივე სისტემა წარმატებით მოემსახურება მაგისტრატურის სტუდენტებს.

ბოლო სემესტრის განმავლობაში სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა უნდა შეასრულონ

სავალდებულო კვლევითი კომპონენტი. ისინი ვალდებულნი არიან მოამზადონ და დაიცვან სამაგისტრო ნაშრომი. კვლევის კომპონენტი მოიცავს 30 ECT-ს. დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომს განიხილავენ და აფასებენ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომიტეტის წევრები. პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გასაჩივრების წესი“. წევრებს ირჩევს ერთობლივი პროგრამის აკადემიური საბჭო. კომიტეტი შედგება მინიმუმ 5 წევრისაგან საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებიდან ან სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული სხვა სფეროდან. მაგრამ საარჩევნო პროცედურები არ არის აღწერილი მარეგულირებელ წესში. მეორე მხრივ, დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის, მისი ნაბიჯებისა და თითოეული საფეხურის/პროცედურის ვადების შესახებ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება უსდ-ს ნაშრომის შეფასების და დაცვის პროცედურების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მონაწილეობით. სამაგისტრო ნაშრომს დამატებით აფასებს რეცენზენტი, რომელიც არ არის დაცვის კომიტეტის წევრი, ის შეიძლება იყოს პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/მოწვეული პერსონალი ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოწვეული თანამშრომელი, რომელსაც აქვს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ/მომიჯნავე სამეცნიერო სფეროში საკვლევი ან პრაქტიკული გამოცდილება. რეცენზენტის და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომიტეტის წილი საბოლოო შეფასებაში იყოფა პროპორციულად 50%-50%.

სამაგისტრო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს მაგისტრანტის პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასება მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ; მაგრამ ეს მოთხოვნა არ არის შეტანილი უსდ-ის მარეგულირებელ დოკუმენტებში: „ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გასაჩივრების პროცედურა“ ან „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პროცესის დებულება“. ამ შეუსაბამობის გამო, ჯგუფი მიიჩნევს, პროგრამის შემქმნელებმა უნდა შეიმუშაონ მაგისტრატურის სტუდენტის პროგრესის შეფასების ფორმირების მექანიზმი ბოლო სემესტრის განმავლობაში, ნახონ ის მარეგულირებელ დოკუმენტებში და წარმატებით განახორციელონ შეფასების სხვა მექანიზმებთან ერთად.

პროგრამა ასევე გთავაზობთ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობას, პროცედურა ნათლად არის აღწერილი შემდეგ დოკუმენტში: „ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გასაჩივრების პროცედურა“.

პარტნიორმა უსდ-ებმა დანერგეს Turnitin, პლაგიატის შემოწმების მექანიზმი. ეს თავიდან აიცილებს ეთიკურ გადაცდომებს და დაეხმარება არა მხოლოდ შემფასებლებს, არამედ სტუდენტებსაც შეამოწმონ თავიანთი ნამუშევრები. Turnitin უკვე დანერგილია GIPA-ში, ეს წარმატებული გამოცდილება აძლიერებს ჯგუფის აზრს, წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაშიც მისი წარმატებით განხორციელების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი
- კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გასაჩივრების პროცედურა გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელსაც ახორციელებს GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (აიიპ) და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
- გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პროცესის დებულება
- ადგილზე ვიზიტი
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- პროგრამას დაემატოს მაგისტრანტის პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც განხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მარეგულირებელ დოკუმენტში აღწერეთ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომიტეტის წევრების არჩევის პროცედურა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ორმა პარტნიორმა უსდ-მ, თბილისის სამედიცინო აკადემიამ (TMA) და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა (GIPA) 2020 წელს წამოიწყო გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება. ამ ორი უნივერსიტეტის ერთეულებმა გამოყვეს თავიანთი პასუხისმგებლობები და შეიმუშავეს სტრუქტურები ახალი პროგრამისთვის სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების მხარდასაჭერად. ზოგიერთი ერთეული და პერსონალი, რომლებიც ემსახურება ამ მიზანს, აღწერილია ერთობლივი პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის ხელშეკრულებაში, თავი III (პროგრამის მართვა და ადმინისტრირება). ამ დოკუმენტში, ასევე ადმინისტრაციული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში, განისაზღვრება პასუხისმგებლობები. თვითშეფასების აღნიშნულია, რომ „პროგრამის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს და კოორდინაციას უწევს ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებში ახლად ჩარიცხული სტუდენტების საორიენტაციო/გაცნობითი ხასიათის შეხვედრების მოწყობას. კერძოდ, სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ახალი ჩარიცხული სტუდენტებისთვის საორიენტაციო დღეები ჩატარდება... “მაგრამ მეორე მხრივ, მარეგულირებელ დოკუმენტებში არ არის დაზუსტებული, რომელი განყოფილებების მიერ გაიმართება ეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრები. GIPA-ს სტუდენტების მხარდაჭერისა და კარიერის განვითარების სამსახურის წარმომადგენელი დაესწრო გასაუბრებას ადგილზე ვიზიტის დროს და უპასუხა ჯგუფის კითხვებს, თუმცა ჯგუფი შიშობს, რომ GIPA ძირითადად პასუხისმგებლობას აიღებს სტუდენტების მხარდაჭერისა და კონსულტაციის პროცედურებზე, მაგრამ არ არის ნათლად განსაზღვრული მარეგულირებელი და თანამშრომლობის დოკუმენტი ჯგუფს, ასევე, შესაძლებლობა ჰქონდა გასაუბრებოდა სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორს. მან განმარტა, რომ პირველ კვირებში სხვა განყოფილებებთან ერთად გაცნობითი ხასიათის შეხვედრებსა და პრეზენტაციებს გამართავს. როგორც რეგულაციაშია აღნიშნული შეხვედრები გაიმართება სასწავლო პროცესის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა ფორმატში (ადგილზე თუ ონლაინ) გაიმართება ეს საორიენტაციო შეხვედრები და ამას მეტი დაზუსტება სჭირდება.

პროგრამის ხელმძღვანელმა სხვა შეხვედრის დროს გვაცნობა, რომ კიდევ 2 კოორდინატორი იქნება. როგორ თანამშრომლობენ ეს კოორდინატორები და რომელ უმაღლეს სასწავლებლებს წარადგენენ, ჯერჯერობით გაურკვეველია და მარეგულირებელ დოკუმენტებში არ არის აღნიშნული. სტუდენტები ასევე აკადემიური პერსონალისგან მიიღებენ კონსულტაციებს აკადემიური მიღწევებისა და მისი გაუმჯობესების შესახებ, რაც რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამის მარეგულირებელი წესით და პროგრამასა და თანამშრომლებს შორის შრომითი ხელშეკრულებებით.

თვითშეფასების ანგარიშში ან მარეგულირებელ დოკუმენტებში, ინფორმაცია პროცედურების შესახებ, რომელიც განხორციელდება პროგრამის გაუქმებისას, მკაფიოდ არ არის განმარტებული. ამასთან დაკავშირებით, ჯგუფის წევრებმა პროგრამის ხელმძღვანელებს ჰკითხეს, რომელი მხარე აიღებს პასუხისმგებლობას, თუ ასეთი შემთხვევა მოხდება, რომელი განყოფილებები დაიწყებენ მუშაობას სტუდენტების გარე მობილობის უფლებების მხარდასაჭერად და რა ალტერნატივას შესთავაზებს ორი უსდ მათ. მაგრამ ჯგუფს არ მიუღია მკაფიო ინფორმაცია მსგავსი გეგმის არსებობის შესახებ. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელმა გვაცნობა, რომ საქართველოს ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი მზად არის მიიღოს ამ პროგრამის სტუდენტები, თუ იგი გაუქმდება.

მაგრამ შეთანხმება საკმაოდ საეჭვოა, ამიტომ სტუდენტების უფლებების განსახორციელებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფორმაცია შეტანილ იქნას მარეგულირებელ დოკუმენტებში და დამატებით სტუდენტებსა და უმაღლესი სასწავლებელს შორის გაფორმებულ კონტრაქტში: რომელი განყოფილება მიაწვდის სტუდენტებს გარე მობილობისთვის საჭირო დოკუმენტაციას, რა პერიოდში, რამდენი ხნით ადრე უნდა მიეწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია პროგრამის გაუქმების შესახებ.

ასევე, პროგრამის ადმინისტრაციამ სტუდენტებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებში ჩარიცხვის შესახებ, მათ შორის ERASMUS +-ის, საზღვარგარეთ/ზამთრის სკოლების, ერთი სემესტრის საზღვარგარეთ სწავლის ან ორმხრივი გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობების შესახებ, ასევე უზრუნველყოს ისინი შესაბამისი კონსულტაციებით. ორივე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების, რომლებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა თავიანთი უნივერსიტეტების გაცვლით პროგრამებში, გამოკითხვის შემდეგ ჯგუფი მიიჩნევს, რომ უმაღლესი სასწავლებლებს აქვთ მომსახურების მიწოდების კარგი გამოცდილება და ისინი გამოიყენებენ ამ გამოცდილებას ახალი პროგრამის სასიკეთოდ.

შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციისთვის პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ფსიქოლოგის კონსულტაციებსაც. ეს არის კარგი პრაქტიკა, ვინაიდან პირველ წლებში ძირითადად უცხოელი სტუდენტების მიღებაა დაგეგმილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კარიერის მხარდაჭერის კონცეფცია TMA სტუდენტებისთვის.
- მენტალური ჯანმრთელობა: თვითდახმარების სტრატეგიები სტუდენტებისათვის.

გზამკვლევი

- o საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები
- o ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები
- o დაწესებულებაში ვიზიტი
- o ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- o ა უცი ლ ბ ე ლ ა მ ა რ ე გ უ ლ რ ე ბ ე ლ დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ შ ი გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ო ს , თ უ რ ო გ ო რ ნ ა წ ი ლ დ ე ბ ა ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი ს მ ხ არ დ ა ჭ ჭ ე რ ი ს ს ე რ ვ ი ს ე ბ ი ო რ უ მ ა დ ლ ლ ე ს სა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ს შ ო რ ი ს და დ ა მ ა ტ ე ბ ი თ გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ო ს სა ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ო შ ე ხ ვ ე დ რ ე ბ ი ს ფ ო რ მ ა ტ ი ;
- o ს ტ უ დ ე ნ ტ ა და უ მ ა დ ლ ლ ე ს სა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ს შ ო რ ი ს გ ა ფ ო რ მ ე ბ უ ლ კ ო ნ ტ რ ა ქ ტ ა და მ არ ე გ უ ლ ი რ ე ბ ე ლ დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ შ ი გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ო ს ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი ს მ ხ არ დ ა ჭ ჭ ე რ ი ს პ რ ო ც ე დ უ რ ე ბ ი , ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი ს თ ვ ი ს , თ უ პ რ ო გ რ ა მ ა გ ა უ ქ მ დ ე ბ ა .

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მე-4 სემესტრში გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა უნდა მოამზადონ სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომი. კვლევითი კომპონენტი მოიცავს 30 ECTS-ს. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება მოიცავს შემდეგ

ნაბიჯებს:

1. თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა;
2. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და კონსულტაციების მიღება
3. სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის დაცვა (წინასწარი დაცვა)
4. პლაგიატის შემოწმება და დასრულებული სამუშაოს ხელმძღვანელისთვის ჩაბარება;
5. მიმოხილვა;
6. საჯარო დაცვა.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღის დადგენის, ხელმძღვანელის შეცვლის, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის, შეფასების და გასაჩივრების გადადების ეს და დამატებითი პროცედურები განისაზღვრება და აღწერილია შემდეგ დებულებაში: „ააიპ GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ განხორციელებული ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და აპელაციის პროცედურა.

აღნიშნული წესის მიხედვით, სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან ეკვივალენტური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები სამეცნიერო სფეროში. სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელი სტუდენტს უზრუნველყოფს საჭირო ინსტრუქციებით, რჩევებით და კონსულტაციებით ნაშრომის გასაუმჯობესებლად. საჭიროების შემთხვევაში, მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს კონსულტანტი (თანახელმძღვანელი), რომელიც არის დარგის ექსპერტი ან/და პრაქტიკული გამოცდილების მქონე და შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირი სამაგისტრო ნაშრომის თემაზე. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ხელმძღვანელსა და პროგრამას შორის გაფორმებული ხელშეკრულების/კონტრაქტის ფორმით.

სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის ინდიკატორის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთი პირი შეიძლება ხელმძღვანელობდეს არაუმეტეს სამ სამაგისტრო ნაშრომს. თუმცა თანახელმძღვანელობის შემთხვევაში, დასაშვებია ხუთზე მეტი სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობა. ეს აღნიშნულია კვლევის კომპონენტის მარეგულირებელ დოკუმენტში. როგორც დადგენილია, პროგრამის მიღების კვოტა შეადგენს მაქსიმუმ 20 სტუდენტს და უკვე არჩეულია 9 სავარაუდო ხელმძღვანელი, მათგან 6 მოწვეული პერსონალია, 3 აფილირებული, თანაფარდობა სადიპლომო ნაშრომებსა და სტუდენტებს შორის არის 20/9, ანუ არაუმეტეს 3 დისერტაციისა 1 ხელმძღვანელზე. ვინაიდან სავარაუდო ხელმძღვანელის უმეტესობა მოწვეულია, მაქსიმუმ 3 დისერტაციის ხელმძღვანელობის შეზღუდვა მითითებული უნდა იყოს ხელმძღვანელთან შეთანხმების ფორმაში.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები.	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	9
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	20

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ააიპ GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ განხორციელებული ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გასაჩივრების პროცედურა
- o აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- o შეთანხმების ნიმუშის ხელმოწერა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან
- o ააიპ GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ განხორციელებული ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o პროგრამასა და ხელმძღვანელს შორის შეთანხმების ფორმას დაამატეთ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მაქსიმუმ 3 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა და მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია	არის
3.2. მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოუმუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

